



2024 წლის სახელმწიფო  
ბიუჯეტის იანვარ-თებერვლის  
შესრულების

## მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის  
საბიუჯეტო ოფისი

2024  
მარტი

# ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 3,769.1 მლნ ლარი

62.1%  
3 თვის  
გეგმის

15.3%  
წლიური  
გეგმის

გადასახდელები - 3,928.3 მლნ ლარი

67.0%  
3 თვის  
გეგმის



15.7%  
წლიური  
გეგმის

ნაშთის ცვლილება  
-159.2 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო  
378.8 მლნ ლარი

მთლიანი სალდო  
-266.8 მლნ ლარი


## შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



## გადასახადების სტრუქტურა





## ხარჯების სტრუქტურა



## სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 24,569.5 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-თებერვალში შემოსულობების შესრულება შეადგენს 3,769.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 15.3%) და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 733.0 მლნ ლარით (24.1%-ით) აღემატება.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელების წლიური გეგმა განსაზღვრულია 25,030.4 მლნ ლარის ოდენობით. 2024 წლის იანვარ-თებერვალში გადასახდელების შესრულება შეადგენს 3,928.3 მლნ ლარს (წლიური გეგმის 15.7%) და 902.8 მლნ ლარით (29.8%-ით) მეტია წინა წლის 2 თვის მაჩვენებელთან შედარებით.



სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 3 თვის გეგმა<sup>1</sup> განსაზღვრულია 6,066.2 მლნ ლარით, ხოლო 2 თვის შესრულება მის 62.1%-ს შეადგენს. რაც შეეხება შემოსულობების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, 3 თვის გეგმის მიმართ, შესრულების კარგი მაჩვენებელი აქვს შემოსავლებს - 62.3%, ფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება გადაჭარბებით გამოირჩევა (101.1%), ვალდებულებების ზრდის კომპონენტი შედარებით დაბალი შესრულების დონით ხასიათდება (48.6%), ხოლო არაფინანსური აქტივების კლების კომპონენტის შესრულება 3 თვის გეგმის მხოლოდ 1.1%-ია.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 3 თვის გეგმა განსაზღვრულია 5,862.9 მლნ ლარის ოდენობით, ხოლო 2 თვის შესრულება 3 თვის გეგმის 67.0%-ს შეადგენს. რაც შეეხება გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით, ყველაზე დიდი წილის მქონე კომპონენტის, ხარჯების, შესრულების მაჩვენებელი 3 თვის გეგმის 64.4%-ს უტოლდება. შესრულების მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა არაფინანსური აქტივების და ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტები (შესაბამისად, 3 თვის გეგმის 91.8% და 96.9%), ვალდებულებების კლების კომპონენტი კი შესრულების შედარებით დაბალი მაჩვენებლით ხასიათდება (3 თვის გეგმის 51.3%).

[1] „საქართველოს 2024 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2023 წლის 29 დეკემბრის №518 ბრძანება.



2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 2 თვეში შეადგინა 378.8 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - -266.8 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2020-2024 წლების 2 თვის საოპერაციო სალდოს და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.


რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, წლის დასაწყისისათვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ შეადგინა 1,577.3 მლნ ლარი. იანვარ-თებერვალში მიღებული შემოსულობების და გადასახდელების შესრულების გათვალისწინებით ნაშთის გამოყენებამ 159.2 მლნ ლარი შეადგინა და 2024 წლის 1 მარტისთვის სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი განისაზღვრა 1,418.2 მლნ ლარის ოდენობით.



# სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების თებერვლის თვის მაჩვენებლები

2024 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 1,910.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც იანვრის მაჩვენებელს 51.8 მლნ ლარით აღემატება (გაღდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების მატების გავლენით), ხოლო წინა წლის თებერვლის მაჩვენებელს - 466.6 მლნ ლარით. რაც შეეხება 2024 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა შეადგენს 1,877.2 მლნ ლარს, რაც იანვრის მაჩვენებელზე 173.9 მლნ ლარით ნაკლებია, ხოლო 2023 წლის თებერვლის მაჩვენებელთან შედარებით გაზრდილია 349.1 მლნ ლარით.


სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები 2022-2024 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების შესრულებას კომპონენტების მიხედვით:


შემოსულობების ფორმირება ძირითადად განხორციელდა შემოსავლებისა (84.2%) და ვალდებულებების აღების შედეგად მიღებული სახსრების (15.0%) ხარჯზე. ფინანსური აქტივების კლების მაჩვენებელმა შეადგინა 14.3 მლნ ლარი, ხოლო არაფინანსური აქტივების რეალიზაციიდან მიღებულ იქნა 0.1 მლნ ლარი.

შემოსულობები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




2024 წლის თებერვალში ხარჯების მაჩვენებელმა 1,492.3 მლნ ლარი შეადგინა, არაფინანსური აქტივებისა და ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები, შესაბამისად - 290.8 მლნ ლარს და 14.1 მლნ ლარს, ხოლო ვალდებულებების კლების მაჩვენებელი 80.0 მლნ ლარს გაუტოლდა.

გადასახდელები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადებიდან მიღებული შემოსავლები მიმოხილვა, რაზეც თებერვალში მიღებული შემოსავლების 95.2%, ხოლო მთლიანი შემოსულობების 80.2% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 1,531.6 მლნ ლარი, იანვრის მაჩვენებელზე 110.8 მლნ ლარით ნაკლები. წინა თვესთან შედარებით ყველა გადასახადი შემცირებულია (გარდა სხვა გადასახადისა<sup>2</sup>, რომლის სახითაც მიღებულია 346.3 მლნ ლარით მეტი). კლება ძირითადად მოდის დღგ-ზე (101.7 მლნ ლარით), საშემოსავლო (218.2 მლნ ლარით) და მოგების (113.5 მლნ ლარით) გადასახადებზე. აქციზიდან შემოსავალი შემცირებულია 22.8 მლნ ლარით (ძირითადად, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის კლების გავლენით), ხოლო იმპორტის გადასახადი - 1.0 მლნ ლარით.

ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



რაც შეეხება გადასახდელების ყველაზე დიდ კომპონენტს, ხარჯებს, იგი თებერვალში გაწეული მთლიანი გადასახდელების 79.5%-ს შეადგენს. კერძოდ, ხარჯებმა თებერვალში შეადგინა 1,492.3 მლნ ლარი, წინა თვის მაჩვენებელზე (1,584.6 მლნ ლარი) 92.3 მლნ ლარით ნაკლები, რაც დაკავშირებულია ძირითადად პროცენტის (207.9 მლნ ლარით), აგრეთვე, გრანტებისა (13.5 მლნ ლარით) და სხვა ხარჯების (6.3 მლნ ლარით) მუხლებით ხარჯების შემცირებასთან. წინა თვესთან შედარებით გაზრდილია სოციალური უზრუნველყოფის (36.7 მლნ ლარით), სუბსიდიების (42.0 მლნ ლარით), საქონლისა და მომსახურებისა (44.7 მლნ ლარით) და შრომის ანაზღაურების (11.9 მლნ ლარით) მუხლების დაფინანსება.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2024 წლის თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ შეადგინა 117.2 მლნ ლარი, ხოლო მთლიანმა სალდომ - (-173.5) მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ თებერვალში მიღებული შემოსულობებისა (1,910.5 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (1,877.2 მლნ ლარი) გათვალისწინებით, თებერვლის თვეში ნაშთის დაგროვებამ შეადგინა 33.3 მლნ ლარი.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში (ძირითადად ეს ეხება საშემოსავლო გადასახადს), საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვანაგარიში.

## სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2024 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების მაჩვენებელმა 3,769.1 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების ფორმირება (91.7%) ძირითადად განხორციელდა შემოსავლების ხარჯზე, რომელიც ნომინალურ გამოხატულებაში, 2022-2023 წლებთან შედარებით მომატებულია, ძირითადად, გადასახადების მნიშვნელოვანი ზრდის გავლენით. ფინანსური აქტივების კლების სახით მიღებულ იქნა 151.7 მლნ ლარი, რაც მთლიანი შემოსულობების 4.0%-ს შეადგენს და მნიშვნელოვნად აჭარბებს წინა წლების მაჩვენებლებს (2023 წელს აღნიშნული შემოსულობების წილი მთლიან შემოსულობებში შეადგენდა 2.7%-ს, ხოლო 2022 წელს 0.6%-ს). არაფინანსური აქტივების კლების მუხლით მიღებული შემოსულობების წილი მთლიან შემოსულობებში (წინა წლების მსგავსად) მცირეა და 0.01%-ს შეადგენს. 2024 წლის 2 თვეში ვალდებულებების ზრდით შემოსულობების მაჩვენებელი მთლიანი შემოსულობების 4.3%-ს უტოლდება (აღნიშნული კომპონენტი 2022 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია, 2023 წელთან შედარებით კი - გაზრდილი).

სახელმწიფო ბიუჯეტის 2 თვის შემოსულობების კომპონენტები (მლნ ლარი)




შემოსავლების სახით 2 თვეში მიღებულია 3,455.7 მლნ ლარი, კვარტალური გეგმის 62.3% და წლიური გეგმის 16.7%, ხოლო წინა წლის მაჩვენებელს 450.4 მლნ ლარით (15.0%-ით) აჭარბებს. რაც შეეხება შემოსავლების შესრულებას კომპონენტების დონეზე, კარგი შესრულების დონით ხასიათდება გადასახადები, ხოლო გრანტების, ასევე, სხვა შემოსავლების მაჩვენებლები, მაღალი შესრულების დონით გამოირჩევა.

იანვარ-თებერვალში მიღებული საგადასახადო შემოსავლები 3,174.0 მლნ ლარს, 3 თვის გეგმის 61.0%-ს და წლიური გეგმის 16.6%-ს შეადგენს. ყველა გადასახადის შესრულება (გარდა სხვა გადასახადისა და მოგების გადასახადისა, რომლებიც შესრულების დაბალი, შესაბამისად, 49.3%-იანი და 32.8%-იანი მაჩვენებლებით ხასიათდება) მობილიზების კარგი დონით გამოირჩევა და 65.7%-73.3%-ის ფარგლებში მერყეობს. გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით საგადასახადო შემოსავლების მოცულობა 376.4 მლნ ლარით (13.5%-ით) არის გაზრდილი. აღნიშნული მატება განპირობებულია, ძირითადად, საშემოსავლო გადასახადისა და დღგ-ის, შესაბამისად, 14.5%-იანი და 17.0%-იანი მატებით.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია ძირითადად, დაქირავებულის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 124.3 მლნ ლარით (15.0%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-თებერვალში დღგ-ის სახით სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 1,215.3 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 176.8 მლნ ლარით მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან - 102.4 მლნ ლარით და იმპორტირებული პროდუქციიდან 74.4 მლნ ლარით მეტი). წინა წელთან შედარებით, 21.9%-ით (59.9 მლნ ლარით) გაზრდილია აქციზი (ერთი მხრივ, ადგილობრივი წარმოების პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 12.3 მლნ ლარით კლებისა და მეორე მხრივ, იმპორტირებული პროდუქციიდან შემოსავლის 72.2 მლნ ლარით ზრდის შედეგად). მათ შორის, იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან აქციზის სახით მიღებულია, 54.9 მლნ ლარით მეტი შემოსავალი.

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2023-2024 წლების 2 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების ფაქტობრივი მარჯვენებელი (74.6 მლნ ლარი) შესრულების მაღალი დონით გამოირჩევა, 3 თვის გეგმის 78.4%-ს და წლიური გეგმის 28.0%-ს შეადგენს, რაც დაკავშირებულია ბიუჯეტის მხარდამჭერ გრანტებთან, რომლის სახით ბიუჯეტში მიღებულია 3 თვის გეგმით გათვალისწინებული მარჯვენებლის 102.6% (61.6 მლნ ლარი). ბიუჯეტში მიღებულია, აგრეთვე, საინვესტიციო გრანტები 2.1 მლნ ლარის ოდენობით და ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან გრანტის სახით შემოსავალი - 1.4 მლნ ლარი. გარდა ამისა, სახელმწიფო ბიუჯეტში აისახა საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 9.5 მლნ ლარის ოდენობით.

სხვა შემოსავლებს სახით იანვარ-თებერვალში ბიუჯეტში მოხიზვებულია 207.1 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 84.3% და წლიური გეგმის 15.3%. ძირითადი შემოსავალი (57.7%, 119.4 მლნ ლარი) მიღებულია საკუთრებიდან და არაკლასიფიცირებული ტრანსფერებიდან (22.6%, 46.9 მლნ ლარის ოდენობით).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით იანვარ-თებერვალში მიღებული შემოსულობები (0.4 მლნ ლარი) მცირეა და 3 თვის გეგმის 1.1%-ს შეადგენს. აღნიშნული შემოსულობების ძირითადი ნაწილი მიღებულია არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან (რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან შემოსულობების სახით).

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობებმა 2 თვეში 1.1%-ით უკვე გადააჭარბა 3 თვის გეგმის მარჯვენებელს და 151.7 მლნ ლარი შეადგინა (წლიური გეგმის 50.6%), რაც წინა წლის მარჯვენებელს 70.0 მლნ ლარით (85.7%-ით) აღემატება.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების სახით იანვარ - თებერვალში ბიუჯეტში ჩაირიცხა 161.3 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 48.6% (წლიური გეგმის 4.8%). კერძოდ, საგარეო დაფინანსების წყაროდან თანხები შემოვიდა საინვესტიციო კრედიტების სახით, 140.0 მლნ ლარის ოდენობით და 3 თვის გეგმის 95.9% შეადგინა (3 თვის გეგმით ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები არ არის გათვალისწინებული და შესაბამისად, აღნიშნული შემოსულობები არ არის მიღებული).


რაც შეეხება საშინაო ვალდებულებების ზრდის მარჯვენებელს, სახაზინო ვალდებულებების და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად მიღებულმა წმინდა შემოსულობამ 21.4 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 11.5%) შეადგინა.

კატეგორია	2 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების ზრდა	161.3	48.6%	4.8%
საგარეო	140.0	95.9%	7.6%
საბიუჯეტო კრედიტები			
საინვესტიციო კრედიტები	140.0	95.9%	10.1%
საშინაო	21.4	11.5%	1.4%

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2024 წლის იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების შესრულების მაჩვენებელმა 3,928.3 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 78.3%-ის ოდენობით, მოდის ხარჯებზე, რომელიც, 2022-2023 წლებთან შედარებით, ნომინალურ გამოხატულებაში გაზრდილია, ხოლო წილობრივად გადასახდელებში - შემცირებული. კერძოდ, 2022 წლის იანვარ-თებერვალში, ხარჯების წილი გადასახდელებში შეადგენდა 82.5%-ს, ხოლო 2023 წლის იანვარ-თებერვალში - 81.7%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს, არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას, 2024 წლის იანვარ-თებერვალში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელმა მთლიანი გადასახდელების 16.4% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის შესრულების მაჩვენებელმა - 0.5% და ვალდებულებების კლების შესრულების მაჩვენებელმა - 4.7%. 2023 წლის იანვარ-თებერვალში მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო შესაბამისად, 12.1%-ის, 0.5%-ის და 5.6%-ის ოდენობებით, ხოლო, 2022 წლის იანვარ-თებერვალში - 11.8%-ის, 0.2%-ის და 5.5%-ის ოდენობებით.


სახელმწიფო ბიუჯეტის 2 თვის გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი)



ხარჯების შესრულებამ იანვარ-თებერვალში შეადგინა 3,076.9 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 64.4% და წლიური გეგმის 16.1%, რაც 2023 წლის მაჩვენებელზე 603.9 მლნ ლარით (24.4%-ით) მეტია. აღნიშნული სხვაობა დაკავშირებულია, წინა წელთან შედარებით, ხარჯების ყველა კომპონენტის მაღალ შესრულებასთან. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მთლიანი სხვაობის დიდი წილი მოდის სოციალური უზრუნველყოფის (242.7 მლნ ლარი) მუხლზე. 3 თვის გეგმასთან მიმართებით შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა პროცენტის (84.1%), სოციალური უზრუნველყოფის (68.2%), სუბსიდიების (67.1%) და სხვა ხარჯების (63.1%) მუხლები. 3 თვის გეგმასთან მიმართებაში შესრულების დაბალი დონით ხასიათდება გრანტების (43.9%), საქონელი და მომსახურებისა (56.1%) და შრომის ანაზღაურების (59.7%) მუხლები.

პროცენტის მუხლის შესრულებიდან (359.7 მლნ ლარი) საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიმართა 239.6 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 120.0 მლნ ლარი. სოციალური უზრუნველყოფის მუხლის შესრულებიდან (1,268.9 მლნ ლარი) დიდი წილი მოდის მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე (917.2 მლნ ლარი), მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა (276.9 მლნ ლარი) და დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე (50.0 მლნ ლარი).


სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2023-2024 წლების 2 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულება (646.0 მლნ ლარი) 3 თვის გეგმის 91.8%-ს და წლიური გეგმის 15.5%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელების დიდი წილი მოდის თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (188.1 მლნ ლარი), საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (187.4 მლნ ლარი), საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (69.7 მლნ ლარი) და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (49.4 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის შესრულების მაჩვენებელი (21.6 მლნ ლარი), 3 თვის გეგმის 96.9%-ს და წლიური გეგმის 7.1%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები მოდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გაცემულ სესხებზე 7.0 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ გაცემულ სესხებზე 10.6 მლნ ლარის ოდენობით და დონორების მიერ დაფინანსებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ფარგლებში გაცემულ სესხებზე 4.0 მლნ ლარის ოდენობით.

ფინანსური აქტივების ზრდის შესრულება (მლნ ლარი)




ვალდებულებების კლების მუხლის შესრულება (183.8 მლნ ლარი) შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება და 3 თვის გეგმის 51.3%-ს შეადგენს, ხოლო, წლიური გეგმასთან მიმართებით - 12.9%-ს. აღნიშნული შესრულების დიდი წილი, 181.1 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	2 თვის შესრულება	შესრულება 3 თვის გეგმასთან	შესრულება წლიურ გეგმასთან
ვალდებულებების კლება	183.8	51.3%	12.9%
საგარეო	181.1	52.4%	13.1%
საშინაო	2.7	21.1%	6.3%

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, გადასახდელების 2 თვის შესრულება მოიცავს დამატებით 3 პროგრამულ კოდს: „სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი“ (პროგრამული კოდი - 57 00) - რომლის ფარგლებშიც მოხდა 0.2 მლნ ლარის ათვისება, "სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მომსახურებათა განვითარება და ხელმისაწვდომობა" (პროგრამული კოდი - 26 11) - რომლის ფარგლებშიც მოხდა 0.1 მლნ ლარის ათვისება და "ახალი კორონავირუსული დაავადების - COVID 19-ის მართვა" (პროგრამული კოდი - 27 03 03 10) - რომლის ფარგლებშიც მოხდა 0.1 მლნ ლარის ათვისება.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების შესრულებას, იანვარ-თებერვალში საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე მიმართა 540.7 მლნ ლარი, 3 თვის გეგმის 69.0% და წლიური გეგმის 18.3%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა შეადგინა 100.8 მლნ ლარი, საიდანაც 74.2 მლნ ლარი წარმოადგენს სპეციალურ ტრანსფერს და 26.7 მლნ ლარი - კაპიტალურ ტრანსფერს. იანვარ-თებერვალში დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე მიმართა 50.0 მლნ ლარი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან მოხდა შესაბამისად 28.8 მლნ ლარის, 1.8 მლნ ლარის და 0.3 მლნ ლარის ათვისება.

იანვარ-თებერვალში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებამ ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შეადგინა 3,722.9 მლნ ლარი (3 თვის გეგმის 67.9% და წლიური გეგმის 16.0%), ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების კლასიფიკაცია ფუნქციონალურ ქრილში:



# დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 2 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა*	2024 წლის 2 თვის შესრულება	შესრულების % 3 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
<b>შემოსულობები</b>	<b>3,036.1</b>	<b>24,569.5</b>	<b>6,066.2</b>	<b>3,769.1</b>	<b>62.1%</b>	<b>15.3%</b>
<b>შემოსავლები</b>	<b>3,005.3</b>	<b>20,731.0</b>	<b>5,548.2</b>	<b>3,455.7</b>	<b>62.3%</b>	<b>16.7%</b>
გადასახადები	2,797.6	19,115.0	5,207.4	3,174.0	61.0%	16.6%
საშემოსავლო გადასახადი	956.1	6,345.1	1,626.0	1,094.9	67.3%	17.3%
მოგების გადასახადი	284.6	2,690.0	1,080.0	354.1	32.8%	13.2%
დღგ	1,038.5	7,388.3	1,699.4	1,215.3	71.5%	16.4%
აქციზი	273.1	2,375.0	454.0	333.0	73.3%	14.0%
იმპორტის გადასახადი	18.3	150.0	32.0	21.0	65.7%	14.0%
სხვა გადასახადები	227.1	166.6	316.0	155.7	49.3%	93.4%
გრანტები	72.4	266.0	95.1	74.6	78.4%	28.0%
სხვა შემოსავლები	135.3	1,350.0	245.7	207.1	84.3%	15.3%
<b>არაფინანსური აქტივების კლება</b>	<b>0.1</b>	<b>200.0</b>	<b>36.0</b>	<b>0.4</b>	<b>1.1%</b>	<b>0.2%</b>
<b>ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>81.7</b>	<b>300.0</b>	<b>150.0</b>	<b>151.7</b>	<b>101.1%</b>	<b>50.6%</b>
<b>ვალდებულებების ზრდა</b>	<b>-51.0</b>	<b>3,338.5</b>	<b>331.9</b>	<b>161.3</b>	<b>48.6%</b>	<b>4.8%</b>
საგარეო	204.6	1,838.5	145.9	140.0	95.9%	7.6%
საშინაო	-255.6	1,500.0	186.0	21.4	11.5%	1.4%
<b>გადასახდელები</b>	<b>3,025.5</b>	<b>25,030.4</b>	<b>5,862.9</b>	<b>3,928.3</b>	<b>67.0%</b>	<b>15.7%</b>
<b>ხარჯები</b>	<b>2,473.1</b>	<b>19,120.9</b>	<b>4,779.0</b>	<b>3,076.9</b>	<b>64.4%</b>	<b>16.1%</b>
შრომის ანაზღაურება	325.8	2,577.3	636.7	380.3	59.7%	14.8%
საქონელი და მომსახურება	262.7	2,232.0	602.9	338.3	56.1%	15.2%
პროცენტი	263.3	1,540.0	427.6	359.7	84.1%	23.4%
სუბსიდიები	118.7	1,044.9	236.8	158.8	67.1%	15.2%
გრანტები	127.2	1,513.0	361.6	158.9	43.9%	10.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,026.2	7,470.4	1,860.9	1,268.9	68.2%	17.0%
სხვა ხარჯები	349.1	2,743.2	652.5	411.9	63.1%	15.0%
<b>არაფინანსური აქტივების ზრდა</b>	<b>366.9</b>	<b>4,180.6</b>	<b>703.4</b>	<b>646.0</b>	<b>91.8%</b>	<b>15.5%</b>
<b>ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)</b>	<b>15.3</b>	<b>305.6</b>	<b>22.3</b>	<b>21.6</b>	<b>96.9%</b>	<b>7.1%</b>
<b>ვალდებულებების კლება</b>	<b>170.3</b>	<b>1,423.4</b>	<b>358.2</b>	<b>183.8</b>	<b>51.3%</b>	<b>12.9%</b>
საგარეო	167.7	1,380.6	345.5	181.1	52.4%	13.1%
საშინაო	2.6	42.7	12.7	2.7	21.1%	6.3%
<b>ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)</b>	<b>10.6</b>	<b>-460.9</b>	<b>203.2</b>	<b>-159.2</b>		

\* 3 თვის გეგმა წარმოდგენილია 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2023 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №518)

## დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2023 წლის 2 თვის შესრულება	2024 წლის წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 2 თვის შესრულება	შესრულების % 3 თვის გეგმასთან	შესრულების % წლიურ გეგმასთან
<b>შემოსავლები</b>	<b>3,005.3</b>	<b>20,731.0</b>	<b>5,548.2</b>	<b>3,455.7</b>	<b>62.3%</b>	<b>16.7%</b>
გადასახადები	2,797.6	19,115.0	5,207.4	3,174.0	61.0%	16.6%
გრანტები	72.4	266.0	95.1	74.6	78.4%	28.0%
სხვა შემოსავლები	135.3	1,350.0	245.7	207.1	84.3%	15.3%
<b>ხარჯები</b>	<b>2,473.1</b>	<b>19,120.9</b>	<b>4,779.0</b>	<b>3,076.9</b>	<b>64.4%</b>	<b>16.1%</b>
შრომის ანაზღაურება	325.8	2,577.3	636.7	380.3	59.7%	14.8%
საქონელი და მომსახურება	262.7	2,232.0	602.9	338.3	56.1%	15.2%
პროცენტი	263.3	1,540.0	427.6	359.7	84.1%	23.4%
სუბსიდიები	118.7	1,044.9	236.8	158.8	67.1%	15.2%
გრანტები	127.2	1,513.0	361.6	158.9	43.9%	10.5%
სოციალური უზრუნველყოფა	1,026.2	7,470.4	1,860.9	1,268.9	68.2%	17.0%
სხვა ხარჯები	349.1	2,743.2	652.5	411.9	63.1%	15.0%
<b>საოპერაციო სალდო</b>	<b>532.2</b>	<b>1,610.1</b>	<b>769.2</b>	<b>378.8</b>	<b>49.2%</b>	<b>23.5%</b>
<b>არაფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>366.7</b>	<b>3,980.6</b>	<b>667.4</b>	<b>645.6</b>	<b>96.7%</b>	<b>16.2%</b>
ზრდა	366.9	4,180.6	703.4	646.0	91.8%	15.5%
კლება	0.1	200.0	36.0	0.4	1.1%	0.2%
<b>მთლიანი სალდო</b>	<b>165.5</b>	<b>-2,370.5</b>	<b>101.8</b>	<b>-266.8</b>	<b>-262.1%</b>	<b>11.3%</b>
<b>ფინანსური აქტივების ცვლილება</b>	<b>-55.8</b>	<b>-455.4</b>	<b>75.5</b>	<b>-289.3</b>	<b>-383.1%</b>	<b>63.5%</b>
ზრდა	25.8	305.6	225.5	21.6	9.6%	7.1%
ვალუტა და დეპოზიტები	10.6		203.2			
სესხები	15.3	305.6	22.3	21.6	96.9%	7.1%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0		
კლება	81.7	760.9	150.0	310.8	207.2%	40.9%
ვალუტა და დეპოზიტები		460.9		159.2		34.5%
სესხები	81.7	300.0	150.0	151.7	101.1%	50.6%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.00	0.00	0.00	0.00		
<b>ვალდებულებების ცვლილება</b>	<b>-221.3</b>	<b>1,915.1</b>	<b>-26.3</b>	<b>-22.5</b>	<b>85.4%</b>	<b>-1.2%</b>
ზრდა	-51.0	3,338.5	331.9	161.3	48.6%	4.8%
საშინაო	-255.6	1,500.0	186.0	21.4	11.5%	1.4%
საგარეო	204.6	1,838.5	145.9	140.0	95.9%	7.6%
კლება	170.3	1,423.4	358.2	183.8	51.3%	12.9%
საშინაო	2.6	42.7	12.7	2.7	21.1%	6.3%
საგარეო	167.7	1,380.6	345.5	181.1	52.4%	13.1%
<b>ბალანსი</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>	<b>0.0</b>		

### დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 2 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
<b>00 00</b>	<b>სულ ჯამი</b>	<b>25,030.4</b>	<b>5,862.9</b>	<b>3,928.3</b>	<b>15.7%</b>	<b>67.0%</b>
<b>01 00</b>	<b>საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები</b>	<b>86.6</b>	<b>22.2</b>	<b>12.3</b>	<b>14.2%</b>	<b>55.5%</b>
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	71.8	18.4	10.3	14.4%	56.1%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა	25.8	6.5	3.2	12.4%	49.3%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროების საქმიანობა	8.8	2.2	1.5	17.3%	69.2%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	37.3	9.7	5.6	15.1%	57.7%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	37.2	9.7	5.6	15.0%	57.6%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.0	25.9%	103.6%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	12.8	3.2	1.7	13.5%	53.8%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.2	0.1	17.5%	52.4%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.3	0.3	0.2	11.6%	44.8%
<b>02 00</b>	<b>საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია</b>	<b>9.6</b>	<b>3.4</b>	<b>1.0</b>	<b>10.1%</b>	<b>28.2%</b>
<b>03 00</b>	<b>საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი</b>	<b>0.9</b>	<b>0.2</b>	<b>0.1</b>	<b>14.6%</b>	<b>56.9%</b>
<b>04 00</b>	<b>საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია</b>	<b>27.0</b>	<b>6.7</b>	<b>3.6</b>	<b>13.2%</b>	<b>53.3%</b>
<b>05 00</b>	<b>სახელმწიფო აუდიტის სამსახური</b>	<b>23.3</b>	<b>7.1</b>	<b>2.9</b>	<b>12.5%</b>	<b>40.7%</b>
<b>06 00</b>	<b>საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია</b>	<b>171.2</b>	<b>67.3</b>	<b>9.6</b>	<b>5.6%</b>	<b>14.2%</b>
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	29.9	8.3	3.8	12.6%	45.3%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.1	0.6	0.2	11.0%	36.0%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	3.2	2.1	16.7%	66.7%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	126.5	55.2	3.4	2.7%	6.2%
<b>07 00</b>	<b>საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო</b>	<b>6.2</b>	<b>1.6</b>	<b>0.7</b>	<b>12.0%</b>	<b>47.5%</b>
<b>08 00</b>	<b>საქართველოს უზენაესი სასამართლო</b>	<b>17.4</b>	<b>4.4</b>	<b>2.3</b>	<b>13.3%</b>	<b>53.1%</b>
<b>09 00</b>	<b>საერთო სასამართლოები</b>	<b>137.5</b>	<b>29.9</b>	<b>15.5</b>	<b>11.3%</b>	<b>52.0%</b>
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	134.0	29.0	15.1	11.3%	52.2%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	3.5	0.9	0.4	12.6%	47.5%
<b>10 00</b>	<b>საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო</b>	<b>10.6</b>	<b>2.5</b>	<b>0.8</b>	<b>8.0%</b>	<b>33.7%</b>
<b>11 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1.4</b>	<b>0.4</b>	<b>0.2</b>	<b>16.8%</b>	<b>59.8%</b>
<b>12 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1.1</b>	<b>0.3</b>	<b>0.1</b>	<b>12.7%</b>	<b>44.6%</b>
<b>13 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სანჯერის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში</b>	<b>1.4</b>	<b>0.4</b>	<b>0.3</b>	<b>19.5%</b>	<b>63.5%</b>
<b>14 00</b>	<b>სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში</b>	<b>1.2</b>	<b>0.3</b>	<b>0.2</b>	<b>17.7%</b>	<b>60.7%</b>

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 2 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	15.0%	54.4%
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.4	0.2	17.7%	58.8%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	17.2%	62.5%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.5	0.5	0.2	13.3%	35.6%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.3	0.2	14.6%	54.2%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	210.0	53.1	34.2	16.3%	64.3%
20 01	სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა	161.2	39.9	22.6	14.0%	56.7%
20 02	ოპერატიულ-ტექნიკური საქმიანობის უზრუნველყოფა	45.3	12.3	11.2	24.8%	91.5%
20 03	უსაფრთხოების კადრების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება	3.5	1.0	0.3	9.4%	33.2%
21 00	საქართველოს პროკურატურა	63.2	16.6	8.4	13.2%	50.2%
22 00	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი	4.0	1.5	0.4	10.7%	28.9%
23 00	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	114.0	33.2	15.0	13.2%	45.3%
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა	31.3	7.8	4.6	14.7%	59.0%
23 02	შემოსავლების მობილიზება და გადასხედელთა მომსახურების გაუმჯობესება	25.0	9.7	0.5	2.1%	5.4%
23 03	ეკონომიკური დანაშაულის პრევენცია	44.1	12.1	8.0	18.0%	65.7%
23 04	ფინანსების მართვის ელექტრონული და ანალიტიკური უზრუნველყოფა	9.6	2.5	1.4	14.1%	54.2%
23 05	საფინანსო სექტორში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლება	1.3	0.4	0.3	23.1%	69.7%
23 06	ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობა	2.7	0.7	0.3	11.2%	44.1%
24 00	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	801.0	196.1	75.6	9.4%	38.5%
24 01	ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება	21.1	4.6	2.4	11.4%	52.6%
24 02	ტექნიკური და სამშენებლო სფეროს რეგულირება	2.1	0.6	0.3	14.9%	52.5%
24 03	სტანდარტიზაციისა და მეტროლოგიის სფეროს განვითარება	1.2	0.5	0.3	22.2%	48.9%
24 04	ბაზარზე ზედამხედველობის სფეროს რეგულირება და განხორციელების ღონისძიებები	1.8	0.5	0.2	13.3%	50.4%
24 05	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	33.5	9.2	5.3	15.7%	57.2%
24 06	სახელმწიფო ქონების მართვა	152.1	57.2	30.6	20.1%	53.5%
24 07	მენარმეობის განვითარება	304.9	69.2	13.7	4.5%	19.8%
24 07 01	მენარმეობის განვითარების ადმინისტრირება	4.9	1.2	0.6	13.0%	52.2%
24 07 02	მენარმეობის განვითარების ხელშეწყობა	300.0	68.0	13.1	4.4%	19.3%
24 08	საქართველოში ინოვაციებისა და ტექნოლოგიების განვითარება	81.1	28.4	9.1	11.2%	32.1%
24 09	ნავთობისა და გაზის სექტორის რეგულირება და მართვა	0.8	0.3	0.2	22.3%	61.8%
24 10	ტრანსპორტის სფეროში საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების დაფარვა და ტრანსპორტირების ხარჯების სუბსიდირება	22.0	3.5	0.5	2.3%	14.3%
24 11	ყაზბეგის მუნიციპალიტეტისა და დუშეთის მუნიციპალიტეტის მაღალმთიანი სოფლების მოსახლეობისათვის მიწოდებული ბუნებრივი აირის ღირებულების ანაზღაურების ღონისძიება	12.0	5.5	4.1	33.8%	73.4%

კოდი	დასახელება	2024 წლიური გეგმა	2024 წლის 3 თვის გეგმა	2024 წლის 2 თვის შესრულება	შესრულება წლიურ გეგმასთან მიმართებაში %	შესრულება 3 თვის გეგმასთან მიმართებაში %
24 12	საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამა – სივრცითი და ქალაქთმშენებლობითი განვითარების სააგენტოს კომპონენტი (ADB)	5.0	0.6	0.0	0.0%	0.0%
24 13	ტექნიკური დახმარების პროექტი საქართველოს ენერჯეტიკის სექტორის რეფორმის პროგრამის (GESRP) მხარდასაჭერად (EU-NIF)	3.0	0.0	0.0	0.0%	
24 14	სასისტემო მნიშვნელობის ელექტროგადამცემი ქსელის განვითარება	125.0	10.6	7.1	5.7%	67.3%
24 14 01	რეგიონალური ელექტროგადამცემის გაუმჯობესების პროექტი	120.0	10.6	7.1	6.0%	67.3%
24 14 01 01	500 კვ ევხ „წყალტუბო-ახალციხე-თორთუმი“ (EU-NIF, KfW)	40.0	6.3	0.1	0.1%	1.0%
24 14 01 02	„ჩრდილოეთის რგოლი“ (EBRD), „ნამახვანი-წყალტუბო-ლაჯანური“ (EU-NIF, EBRD, KfW)	15.0	0.3	0.3	2.2%	111.5%
24 14 01 03	500 კვ ევხ „ჯვარი-წყალტუბო“ (WB)	25.0	1.0	6.6	26.5%	663.3%
24 14 01 04	გურიის ელგადამცემის ხაზების ინფრასტრუქტურის გაძლიერება (EU-NIF, KfW)	20.0	1.6	0.0	0.0%	0.0%
24 14 01 05	კახეთის ინფრასტრუქტურის გაძლიერება (KfW)	5.0	0.2	0.1	2.3%	64.4%
24 14 01 06	„ხელედულა-ლაჯანური-ონი“ (KfW)	15.0	1.3	0.0	0.0%	0.0%
24 14 02	შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის პროექტი (WB)	5.0	0.0	0.0	0.0%	
24 15	მოსახლეობის ელექტროენერჯითა და ბუნებრივი აირით მომარაგების გაუმჯობესება	3.6	0.2	0.1	3.6%	53.7%
24 16	საზღვაო პროფესიული განათლების ხელშეწყობა	1.4	0.4	0.3	21.2%	74.4%
24 17	ანაკლის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარება	3.4	1.0	0.4	11.1%	37.6%
24 18	ორმხრივი ხელშეკრულებების ფარგლებში აღიარებული ვალდებულებების დაფარვასთან დაკავშირებული ღონისძიებები	5.6	0.0	0.0	0.0%	
24 19	ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტი (EU, EBRD, EIB)	5.0	0.0	0.0	0.0%	
